შაბათი, 19 ქრისტეშობის **№ 51** — 1915 | ფასი 10 კ.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-ზე წელიწადი მეოთხე. —(იხ. მე-2 გვ.)

ნიკოლოზ იაკობისძე ნიკოლაძე

ქახეთის რკინის გზის გამგეობის ოვმჯდომარედ არჩეულ-დამტკიცებული.

№ 51

შინაარსი:

1, **მეთ:ური**—1, დღევანდელი ვალი; 2, დღეს მოიგონეთ! 1
2, **მიხ. ბოჭორიშვილი**—კოლხეთში 2
3, **დ. კოპალი**—სატრფოს ,,
4, **იოსებ არიმათიელი**—სასცენო დღესასწაული: ელ ჩერქ ზიშვილი 3
5, **მიხ. კაიზოშვილი**—ჭოლა ლომთათიძე, როგორც ადამიანი 4
6, **ა ორპირელი**—უპატრონო 6
7, **ხ. ვარდოშვილი**—*** (ლექსი) ,,
8, **ექიმი შტოკმანი**—ქართველი ორდინატორი ქალი 7
9, **მ. კაიშაური**—მთ:ულ. კვნესა ,,
10, **გ. ჭუჩიშვილი**—უმწეო ოჯახი 8
11, **ს. ფაშალიშვილი** აუხსნ. ამოც. ,,
12, **გაბ გოგუაძე**—ორი ხმა 9
13, **კ. ყიფიანი**—ბედი ქართველისა, ისტ. ქრ. 4 მოქ. 10
14, **ს. გლახაშვილი**—განცდა 12
15, **გოგლა ლეონიძე**—ფურცლები: ოსკარ უაილდი 13
16, **გ. ჯაბაური**—სახალხო თეატრის ისტორია (გაგრძელება) 15
17, **ქართული სახიობა** 16
18, **წვრილი ამბები; სურათები** ,,

ხარფუხის საზ. კლუბი

მიხეილის 3ბ. № 131

ერთი კვირის პროგ 19—27 ქრისტ-თვე

შაბათს ვაჟა-ფშაველას საღამო
კვირა მუსიკალური ს ღამო
ორშაბ ს ნემატოგრაფი; **საზანდარი**
სამშაბ. ქართ. წარმოდგენა
ოთხშაბ. სინემატოგრ
ხუთშაბ.
პარასკ ს ზანდარი, სინემატოგრაფი
შაბათი სიმღერიანი ორკესტრი პრესმანის
კვირა მუსიკალური საღამო

შესავალი ფასი: მამაკაცნი—30 კ. ქალები დ. სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

სახალხო სახლი

ოშრაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს, 1915 წ.
ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

პიესა 4 მოქ. ნ. ანდრეევისა

მონაწილენი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბ-ნნი: აბაშიძე ვ., გუნია., გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნელი გ., მამფორია ი., მგალობლიშვილი დ., ყივიძე ი.

ადგილების ფასი 10 კ.—1 მან.-დე.

და აწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ანდრონიკაშვილი

დრამ. საზ-ის გამგ-ის მორიგი წევრი შ. მესხიშვილი.

ადგილების ფასი 15 კ-დან 1 მ. 15 კ-დე.

შემდეგი წარმოდგენა 21 ქრისტეშობისთვეს.

1916 მიილება ხელის მოწერა 1916 წლისათვის 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამსატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი ჟურნალი ილუსტრირებული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით

ფასი მეოთხე

„თეატრი და ცხოვრება"

ფასი ერთ მან. ნახ. წლ. 3 მან.

ფასიწადი მეოთხე

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სარაპანის" სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

№ 51

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 51 შაბათი, 19 ქრისტეშობისთვე 1915 წ.

19 ქრისტეშობისთვე

დღევანდელი ვალი

გინახავთ თუ არა მიცვალებულიან სახლში ვინმე რო გაიღრიჭება, რა უსიამოვნო გრძნობას იწვევს?..

სწორედ ასე ირჯებიან ზოგიერთი ჩვენი ვითომდა ჭირისუფალნი, რომელნიც საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილან და ხალხის სახელით ნიადაგ შხამს ანთხევენ, ურთიერთს ჰგესლავენ, ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას კი ანგარიშს არ უწევენ: როგორც ამ ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში სწერდენ პარტიული ჟინით გაბრუებულნი ურთიერთის წინააღმდეგ, ამასვე ვხედავთ დღესაც.

ასეთია სიტყვის ხალხი, მხოლოდ წიგნის კაცი, ამა თუ იმ მოძღვრების მიბრჯნილი მიმდევარი...

საბედნიეროდ სურათი თანდათან იცვლება, უკვე ჩნდებიან ხალხის ნამდვილი მოთხოვნილების ჭეშმარიტი მუშაკნი, არა მყვირალანი, არა ენით მოლესილნი, არამედ მოსაქმენი, რომელნიც დაბა-სოფლებში ჩასახლებულან და ერის წყლულთა მკურნალობას გულმხურვალედ შესდგომიან...

ამ ბოლო დროს ჩვენში დაწყებული კოოპერატიული მოძრაობა, გასულ კვირას კახეთში შემდგარი კოოპერატივთა კავშირის დამფუძნებელი კრება, ჩვენს ზოგიერთ დაბა-სოფელში საკუთარი სათეატრო დარბაზების აშენება და სხ. გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყანა აღორძინებას უკვე ქვეიდან, ძირიდან იწყებს: თვით ხალხის შვილებივე თავს იდებენ კულტურულ-ეკონომიურ წინსვლის საქმეს და ჩვენი პრესის მოვალეობაა ახლა ესა თუ ის ჯგუფი კი არ გაჰკიცხოს, ესა თუ ის „თეორია გააცამტვეროს,“ არამედ ჩვენის ცხოვრების მოთხოვნილებას სისწორით გამოეხმაუროს: ყოველივე პროგრესიულს, დაბა-სოფლის თუ სხვა ასპარეზის მესვეურებს ზურგი გაუმაგროს და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს...

და თუ პრესის რომელიმე ნაწილი მაინც ამას ვერ შეიგნებს, უბრალო წასისინება-კინკლაობაზე ხელს არ აიღებს, თვით ხალხის ჭეშმარიტმა მეგობრებმა ყოველივე ვიწრო ჯგუფური განხეთქილება გვერდზე უნდა გადასდონ და ხალხის საკეთილდღეოდ ერთად იმუშაონ: სწავლა-განათლება, სკოლა, წიგნთსაცავი, სამშობლო მწერლობის გავრცელება, თეატრი, დამშეულ ხალხის გამოკვება, გლეხთა მყვლეფავებისაგან განთავისუფლება ყველა შეგნებული ადამიანისათვის ძვირფასი უნდა იყოს, რა რწმენასაც უნდა აღიარებდეს...

დიაღ, აი რა გვევალება დღეს...

როდესაც მსოფლიო განახლების მოლოდინშია, ჩვენი სამშობლო კი ძაძით მოსილი და შინ „მიცვალებული“ გვისვენია. ლაშ ახეული ღრეჭა—პარტიული სიბრმავით ურთიერთის ჩაქოლვა,—შეუწყნარებელია!..

—

დღეს მოიგონე

დღეს მოიგონეთ კიდევ პირველი საღამო პირველი ჩვენი მგოსანთაგანის—ვაჟა-ფშაველასი...

გასული შაბათის ნომერში უკვე ავხსენით, რა დანიშნულებაც აქვს დღევანდელ საღამოს, რა მაღალი, კაცთ მოყვარული მიზანი

—საღამოს შემოსავალი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აშენებას უნდა მოხმადეს...

დაე, მთის შვილის ვაჟა-ფშაველას სული იმითი მაინც გავახაროთ, რომ მისი სახელობის აგარაკის—ქართველ მოღვაწეთა თავშესაფარის—აგებაში დღეს ჩვენი წვლილი შევიტანოთ...

კოლხიდაში

ვით წეროთა გუნდი სამხრეთისაკენ, მიემგზავრებიან ისინი თავიანთ სიცოცხლის დასამსხვრევად.

შეგუებებულ ცრემლებში გამონაწრთობ სევდიან სიმღერით ემშვიდობებიან სამშობლო მხარეს.

მიემგზავრებიან და მიიმღერიან.

გულ-დამწყლულებელ ქვითინით უცქერიან მათ ბედკრული დედები, ისე ვით ოდესმე სპარტნიელი დედანი უცქეროდენ ტაიგეტის მწვერვალიდან უფსკრულში გადატყორცნილ თავიანთ ჩვილ ყრმებს.

ქალწულთა მორცხვი ცრემლები რწყავს მათ ფეხით ამტვერებულ გზას.

ისინი კი მიდიან და მიიმღერიან, რომ თვისი ძვალებით მოთესონ, თვისი სისხლით მორწყონ ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან უდაბნოდ ქცეული უცხოთა მხარე.

— საით მიდიხართ! საით მიემგზავრებით?

— რას გვეკითხები! განა არ იცი? მივდივართ, რომ მსხვერპლად შევეწიროთ ბრძოლის ღმერთს, მივდივართ რომ ვალი მოვიხადოთ დამონებულ სამშობლოს ნაცვლად. ჩვენ თვით არ ვიცით სად მოვკვდებით, ვისთვის ან რისთვის. ჩვენს უკანასკნელ ოხვრას უხმოდ შთანთქავს ჯოჯოხეთურ უდაბნოს სივრცე. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სამარის გასაჭრელად არვინ დაჰკრავს ბარს სამშობლო მიწას.....

და მიემგზავრებიან ისინი, უსაზღვრო სევდით აღვსილ სიმღერით ემშვიდობებიან მდუმარ სამშობლოს, ისე ვით მერცხალთა გუნდი ნაღვლიან ჟივილ-ხივილით ეთხოვება შემოდგომის სუსხით დანასუნთქ ყვითელს ფოთლებს. მერცხლები კვლავ დაბრუნდებიან გაზაფხულზე თვის სამშობლოში.

ისინი-კი არას დროს! არას დროს...

და მიდიან ისინი და მიიმღერიან.

ჩემო სამშობლო! რად შეიძულე შენი ერთგული ძენი? სად გაამგზავრე ისინი? რად სდუმხარ, სამშობლო ჩემო? ან კი რა ძალგიძს დუმილის მეტი?

მიხ. ბოჭორიშვილი

სატრფოს

(ძღვნად თა-მა-ოს)

I

დღეიდან არ გეკუთვნით
არც თქვენა და არცა სხვას.
მე ვეკუთნი ჩემს სატრფოს,
ვისაც რა ჰსურს იგი სთქვას.
ვეკუთვნი მის სურვილებს
და მის აზიზ გულის თქმას.
„შენი ვარ, შენთვის მოვკვდე“,—
ამას ვეტყვი მხოლოდ მას.
მთელ ამ ქვეყნის დიდებაზე
არ გავცვლი მის ერთ ღერ თმას,
ჩემს სიცოცხლეს ვანაცვალებ
მის ბულბულის ნარნარ ხმას.
ჰსურს მოვკვდები მე მისთვის
და დავიდებ გულზე ქვას.
ოღონდ კი ჩემს საფლავზე
„ჩემთვის მოკვდა“ ასე სთქვას.

II

მრწამს, მე სატრფო თვის ხელით
მკვდარს დამარგავს მწვანე ბზას.
მეტყვის: „სატრფოვ! მშვიდობით“.
და მიაპყრობს თვალებს ცას.
მრწამს, მალე დაივიწყებს
სასაფლაოს ვიწრო გზას...
სხვას გაიცნობს და იმ სხვას...
შესთავაზებს ტრფობის თასს.
მრწამს, როს მკვდარი კუბოში,
ვასაზრდოებ მე ჭიას,
ჩემი სატრფო, ჩემს გულზე,
სხვისთვის მოჰკრეფს ნაზ იას...
დე! მას რაც ჰსურს იგი ქნას,
სიყვარული მაინც მწამს...
მიყვარს და მას ვაკუთვნებ
ჩემს სიცოცხლის ყოველ წამს.

დ. კოპალი

სასცენო დღესასწაული

ელ. ჩერქეზიშვილი

ელ. ჩერქეზიშვილი

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან“... ქართული სცენის მუშაკთა შავ-ბნელი დღენი...

მიუხედავად ამისა, მისმა ჭეშმარიტმა ქუ უმეგბმა მთელი ხანა შეჰქმნეს და ერის სამართლიანი პატივისცემაც დაიმსახურეს...

30 წ. სასცენო მოღვაწ. გამო.

ერთი ამ ქურუმთაგანია ელისაბედ ჩერქეზიშვილი,—ერთი იმათგანი, რომელნიც სამშობლო ხელოვნების ნიადაგზე აღმოცენდენ, უცხოსი არაფერი სცხ ათ რა, და რასაც ჰქმნიან, თვისით, საკუთარი ალღოთი...

ოცდა ათი წელიწადია, რაც ელ. ჩერქეზიშვილი სამშობლო სცენას ემსახურება და მერე როგორ ემსახურება?

უკანასკნელ ათიოდე წლის განმავლობაში მაინც მისი პირ დი ცხოვრება ისეთს გარემოებაში მოექცა, რომ სხვა ვერც კი აიტანდა: სახლის ჩხრეკა, შიში, ქალის დაჭერა—მისი განსამართლება-გაციმბირება (პოლიტიკურ საქმეზე), ქმარის (ცნობილ მოღვაწე-მწერლის ნ. ხიზანაშვილის—ნ. ურბნელის) ვერაგულად მოკვლა, და ჩვენი ფიზა, ქ-ნი ელისაბედი მაინც სამშობლო მელპომენის ტაძარს არ განშორებია: უბით უტარ ბია პირადი ტანჯვა, ხოლო გულით სამშობლო სცენის სიყვარული!.. დილა—შუადღით რო საკუთარ ჭირ-ვარამს ოხებდა, სასამართლო—ციხეში რბიოდა ქალის მოსაკითხად, საღამოთი სცენაზე გამოვიდოდა, რომ... წარმოდგენა არ ჩაშლილიყო ..

მისი მოღვაწეობის დაწვრილებით დახასიათებას შემდეგისთვის გადავსდებთ, ხოლო ახლა კი მოკლედ აღვნაშნავ, რომ მან ჩვენ თეატრში ნამდვილ ეროვნულ შემოქმედებას, მშობლიურ სახელოვნო თვისება-ხასიათების განმტკიცებას შეუწყო ხელი და მით ქართული თეატრის მნიშვნელობა განაძლიერა... ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში აღბეჭდილი რომელი რეცენზიაც უნდა წაიკითხოთ, თითქმის ყველა ქებით იხსენიებს მას: „ივერია“, „კვალი“, „ცნობ. ფურ“ და სხვანი, ხმა შეწყობით აღიარებდენ მის ნიჭიერებას და მაღალ ხელოვნებას:

„განსაკუთრებით საუცხოვო იყო ქ-ნი ჩერქეზიშვილისა (სწერს „ივ.“ 1897 წ. № 247),—ასეთს რეალურსა, მოფიქრებულს თამაშობას იშვიათად შეხვდება კაცი იმ არტისტ ქალთა შორისაც კი, რომელთაც მთელს რუსეთში დიდი სახელი მოუხვეჭიათ... ამ არტისტ-ქალს (ჩერქეზიშვილს) დიდი ხანია დამსახურებული აქვს სახელი ჩვენს საზოგადოებაში და სრულიათ სამართლიანადაც. თუ ქ-ნი ჩერქეზიშვილისა გუნებაზეა, თუ კარგად არის მომზადებული, ყოველთვის მშვენივრად ასრულებს როლებს, შეგნებითა და გაგებით გვისურათებს ამა თუ იმ გმირს“. („ივ“. 1897 წ. № 226)

„ქ-ნი ჩერქეზიშვილისა მართლა რომ ნიჭიერი არტისტი ქალია! საკვირველი ალღო აქვს ამ არტისტ-ქალს როლის შეგნებისა და ტიპის გაპიროვნებისა... დალოცვილი იმითია ხელოვანი, რომ ყველა მოხუცებულს სულ სხვა და სხვა ფერსა სდებს და მათ დახატვაში განსხვავება შეაქვს.“ („ივ.“ 1897 წ.)

ქ-ნი ჩერქეზიშვილისა შეუდარებელი იყო... სწორედ რომ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება თავის გონივრულის თამაშით. სწორედ საქებარია და მისაბაძი ის და კვირვება, რომელიც მას გამოეჩინა იმ გვარ ტიპების შესასწავლად, რომლის დამხატველადაც იგი სცენაზ გამოვიდა. არავითარი გადამეტება და ნაკლი არ ეტყობოდა“... („ცნ. ფურ.“ 1898 წ. № 453)

ასეთსავე ქება-დიდებით იხსენიებს „კვალ“-ში ბაზაკვალი (გ. წერეთელი) და ბოლოს დასძენს:

„დიდი მადლობის ღირსია ელისაბედ ჩერქეზიშვილისა, რომელმაც თავის მსახიობურ ნიჭთან ერთად კიდევ ერთი კარგი მარგალიტი შესძინა, ჩვენ ვოდევილებ შორის, ქართულ თეატრს („სამოცი წლის არშიყზე“ სწერს.)

დიად, გარდა მსახიობობისა, ელ. ჩერქეზიშვილი მწერალიც არის და მისი ნაწერები გაზ. „ივერია“-შია გაბნეული.

და ამ დამსახურებულ მსახიობ-ქალს ქართ. დრ.მ. საზ გამგეობის გადაწყვეტილებისამებრ მომავალ იანვარში უმართავენ საზეიმო დღესასწაულს—30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავს საღამოს.

მართალია, დღეს ჩვენი ქვეყანა ძაძითაა მოსილი, მრავალი გაჭირვება კარს გვირაკუ-

ნებს და დღეს არ ვიცით, ხვალ ჩვენი ბედი როგორ შეიცვლება, მაგრამ ასეთს მდგომარეობაში კიდევ უფრო მეტის მონდომებით უნდა გადავიხადოთ ხელოვნების გამარჯვების დღესასწაული და, იმედია, ქართველი საზოგადოება, მასთან ყველა ის, ვინც ხელოვნებას პატივსა სცემს, ერთ საზეიმო საღამოზე მაინც გადაუხდის მადლობას იმ მოდგაწე ქალს, რომელიც მთელი 30 წელიწადი ხელოვნების ტაძარში ჩვენს ამაღლებას ემსახურებოდა: გული ეტირებოდა, პირად კი ჩვენს მანკიერებას დასცინოდა, საკუთარი ვარამი გულს უთუთქავდა, ჩვენს საამოდ კი ხითხითებდა...

ელისაბედ ჩერქეზიშვილის 30 წ. მოღვაწეობის იუბილეც ხომ ამავე დროს ჩვენი სცენის მიერ წინგადადგმული ნაბიჯის გამარჯვებაა, ეროვნული გათვითცნობიერების საბუთი... მოღვაწეთა ნაღვაწის დაფასება ხომ მოზარდი თაობის გამწრთვნელი და აღმაფრთოვანებელია! მაშ წრფელის გულით მივეგებნეთ ამ დღესასწაულს...

იოსებ არიმათიელი

ჭოლა ლორმთათიძე, როგორც ადამიანი

საბრალოა მხოლოდ სული ობოლი,
ძნელია ჰპოვოს, რა დაჰკარგოს მანტოლი...
ნ. ბარათაშვილი

თუ ვინმე უბედურ ჭაბუკს კითხვა: „ეფონა—არ ეფონა?“ შეიბერბოს,—„განმარტოებულ ფრიადის კედელზე“ გადასაჩესად განმზადებულ ჭოლა დომთათიძეს ამ კითხვის მხოლოდ უკანასკნელი ნაწილი თუ ესმოდა და დაშნის მინაგვარ ენით მოძმეთ ამცნებდა:

„მალე მოვკვდები“. .

მაგრამ ეს გარდაწყვეტილება შიშის ზარს სრულიადაც არ ასმენდა, რადგან მტკიცედ სწამდა: „სიკვდილი იგი არ იქმნება დეკადენტური—ისეთი, როგორსაც სოლოგუბი და შნიცლერი გვიხატავენ,—არამედ მძლავრი, მაგრამ რეალური, რომლისაც არავის უნდა ეშინოდეს, რადგან სპეტაკი და მოშხიბლავია“... *)

*) ეს ხაზგასმული ამონაწერი და სხვა ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები ამოღებულია იმ ხელთნაწერ

არ ასმენდა შიშს მით უფრო, რომ ბუნების ნაყოფს სპეტაკად უყურებდა და თვით ბუნებაც ძალზე უყვარდა .. ტყვეობაშიაც ხშირად ოცნებობდა: „ოჰ, რა სიამოვნებით წავიდოდი მთებში, ტყეებში, სადაც სრულიად უმიზნოდ ვიხეტიალებდი და ბუნების წიაღში მთელის არსებით გავეხვეოდი!..“ მაგრამ რამდენადაც უყვარდა ბუნება, როგორც ხატება სიმართლისა, სამგზის უმეტესად თვით სიმართლის მოყვარულებს შესტრფოდა... მისი უმთავრესი საგანი კატობრიობის შესწავლა-შეცნობა იყო... ჭოლა იყო სინთეზი მშრომელი სალხის მაზიარებელ ასრებისა; ვისმეს მხოლოდ სასტიკის ანალიზის შემდეგ მიეყრდნობოდა და, როგორც თვით ამბობდა: მის „დასაპერად ანკესის გადაგდება ამაო იყო“...

ბუნებამ ჭოლა აქტიურობით დაჯილდოვა და უსამართლობის ზღუდეთა დასანგრევად ბრძოლა მისი სტიქია იყო—ეს იყო ბასისი ნამოქმედარისა...

და რომ ამ მოქმედებასთან ერთად შეეცნოთ ჭოლა, როგორც კატობრიობის თვალსაჩინო წევრი, როგორც ადამიანი, მოვალეობად მიგვაჩნია, ამ საკითხისათვის სასჭირო ნაწყვეტები მის კერძო წერილებიდან ამოვიღოთ:

1. საკვირველია, რატომ არავის ვუყვარდები, რატომ არავის მოვწონვარ, ბუნებრივად ხომ არა მიშავს რა, ყოველთვინ გულახდილობისა, ინდისიერებისა და გულწრფელობის მოტრფიალე ვარ... გახსოვს ლერმონტოვის სიტყვები:

„Но ты мнѣ душу предлагаешь,
На кой чортъ душа твоя“...

ასეა ძმაო; მიადე რკინას ხელი, შენგან სითბოს აიღებს, თვით კი არასფერს მოგცემს. ხალხიც ასეა: ყველაფერს იღებს, თვითონ კი არაფერს იძლევა... და სწორედ აქ არის ეგოიზმი... (1912 7/VI).

2. ჩემი მწარე ცხოვრების შესახებ წერა მომწყინდა; და აკი სხვებს სრულიად აღარა ვსწერ, მაგრამ შენ ხომ წარმოიდგენ მატერიალურად რა მდგომარეობაში ვიქნები! ამას მიუმატე ჩემი ჰოლიკო (ასე ეძახდა თავის ვაჟს), რომელსაც ამ სიცივეში ყველაფერი სჭირდება; ეც ხომ არც პალტო მაქვს, არც ფეხთსაცმელები და არც ქუდი... მაგრამ, ეჰ, როგორც იქმნება გავძლებ, გარეთ აღარ გამოვალ!..

კერძო წერილებსა და „დღიურიდან“, რომლებიც ჭოლას მიუწერია თავისთან სატუსაღოში მჯდომ ძველ მეგობარ ბ. აკიმ ქოჩარიანისათვის, რომელსაც ამ წერილთა გადმოცემისათვის დიდს მადლობას ვუძღვნით.

რედ.

3. მეგობარო აკიმ! სტუმრად ვიყავი... გრამოფონით ჩვენი საყვარელი ხმა დაუკრეს. . ოჰ, ვერ წარმოიდგენ როგორ ნათლად წარმომიდგა ჩვენი წარსული, შენთან გატარებული დრო... თითქოს შენცა გზედავდი—კამერაში შემოსულს... გულმა ცახცახი შეჰქმნა, გონება დაკარგული წამოვხტი და სიხარულით დაგიძახე: „აკიმ, აკიმ!..“ ყველა გაოცდა... შეშლილი ვეგონე... გონს მოვედი... გამოვიქეცი... მთელი ღამე დავეხეტებოდი... (1913 წ. 4/IX)

4. ყოველი მეგობრობა ეგოისტურია—ისევე, როგორც სიყვარული, ან სხვა გრძნობა. მეგობრობა და დამოკიდებულება იფუშება იქ, სადაც იფანტება ინტერესები, სულ ერთია, ეკონომიური იქმნება, ლიტერატურული, თუ ესთეტიური... (1913 წ 24/VII)

5 მიყვარს სილამაზე და ყოვლის ულამაზესად ჰკვიანი ქალი მიმაჩნია... აქვე უნდა გამოვტყდე, ყოველი ვაჟი ქალს უსინიდისოდ ეჭცევა.. ჩემი ცხოვრების დღენი ამ საძაგლობის წინააღმდეგ საბრძოლველადაც მიხმარნია, მაგრამ ჯერ მაინც დარწმუნებული ვერა ვარ, დავამარცხე, თუ ვერა?!. როგორც გენებოთ მიიღეთ და არასოდეს მიკოცნია და მიკოცნინებია ისეთ ქალისათვის, რომელიც არა მყვარებია, ან არა ვყვარებივარ... ამას ვამაყობ, ეს ჩემი წმინდა რწმენა იყო... თუმცა კი ბუნებრივად ძალიან ვნებიანი და აღფრთოვანებული ვიყავი... (1912 წ. 9/XI)

6. ქალ-ვაჟის მეგობრობას საფუძვლად უსათუოდ ვნების აღტყინება უდევს. მაგრამ თუ ვნება იგი მცირეა, თუ ამ გრძნობას სხვა რომელიმე გრძნობა სჭარბობს, მაშინ მეგობრობა სიყვარულად ვერ გარდიქმნება... (1912 წ. 24/VII)

7. თუ ქალი შევიყვარე, მარადის მეყვარება; თუ არა და ჩემთვის ქალი არ არსებობს... თავისუფალიც რომ ვიყვე, უცხო ეროვნების ქალს მაინც არ შევირთავდი, რადგან მასთან შეჩვევა, შეთანხმება ძნელია, მით უფრო, რომ ყოველივე ჩემი მშობლიური, ნაციონალური ძალზე მიყვარს და მისი დათმობა არ შემიძლიან... თუმცა ეხლა ყველას ვეკუთვნი, ყველა ჩემი ძმები არიან... რას იზამ, ყოვლის უძლიერეს საკვირველებას წარმოადგენს გული, რომელსაც თავის შიგან ყველაფრის მოქცევა შეუძლიან... (1912 წ. 13 VII)

8. ნინოზე გაჯავრებული ვარ, რადგან სურათის გამოგზავნას დამპირდა და მომატყუილა. აღარც წერილსა მწერს... თურმე სურს უწინ მე მივსწერო, მაგრამ ასეთი სურვილი „მეშჩანურად“ და ხასიათის დაწვრილმანებად მიმაჩნია,—ამიტომ არც მე ვსწერ... რომ შემხვდეს კიდეც, ჩამოსართმევად ხელს პირველად მე არ გაუწოდებ... (1913 წ. 15/III)

9. რამდენიმე წლის წინად ერთ ჩემ კარგ ნაცნობ ქალს საძაგელი ვუწოდე და, აი, რად: სამ ამხანაგს ასამართლებდნენ... ორს კატორღა მიუსაჯეს, ერთი გაანთავისუფლეს... ერთ იმ ორთაგანის ცოლს თურმე ეს განთავისუფლებული უყვარდა. ქმარს ეპვი ჰქონდა, მაგრამ ცოლი თავის პატიოსნებაში აჯერებდა... განაჩენის გამოტანის შემდეგ, ქალმა ვეღარ მოითმინა და განთავისუფლებულს აღტაცებით ულოცავდა. ქმარი მოაგონდა მაშინ, როდესაც სასამართლოდან მიჰყავდათ... გესმით სად არის სასაძაგლე?..—ქალს მოვსთხოვე, სისაძაგლე იმითი გამოიხატოდეს, რომ საყვარელს განშორდი მეთქი... მაინც შეეთვისა. ამიტომ საძაგელი ვუწოდე... სიმკაცრე ჩემი დასაგმობია?!—ის ქალი მთხოვს კიდეც სიტყვის უკან წაღებას, მაგრამ ვერ გამოვსძებნე ისეთი მიზეზი, რითაც ჩემი გამტყუნება შეიძლება. ამისთვის სიტყვას უკან არ წავიღებ... (1912 წ. 1/VIII)

ამ წერილებს გარდა ხელთა გვაქვს ერთი წერილიც, რომელიც ჭოდას 1913 წ. რუსეთის გამოჩენილ მწერალ ბ. ვლად. გალაქტ. კოროლენკოსათვის მიუწერია ამ წერილში ხსენებულ პირსა სწერს:

„გიგზავნით რუსულად თარგმნილ ჩემსავე ნაწარმოებს „თეთრ ღამეს“ და უმორჩილესადა გთხოვთ გულდასმით წაიკითხოთ. გარდა თქვენ პატივცემულ ჟურნალში ჩემი ნაშრომის დაბეჭდისგ სურვილისა, ასე მოქცევას მავალებს ისიც, რომ მესაჭიროება გავიგო თქვენი გადამწყვეტი აზრი, შემიძლიან თუ არა თარგმნა?.. ქართულ ლიტერატურაში კი არის ბევრი ისეთი რამ, რომლის გაცნობა რუს მკითხველთათვის საჭიროა. და თუ პირველად ჩემი ნაწარმოები ვსთარგმნე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი სტილის, აზრისა და გრძნობის გადმოცემა უფრო მეადვილებოდა. ვიდრე სხვისა ..“ (15/III)

აი, უველა ის წერილი, აი უველა ის ფოზუნგი, რომელიც ჭოდას ადამიანობის, სრულიად თუ არა, მტირედად მაინც, გამომქვეენებელია. აქა სჩანს მისი ხასიათის სიმტკიცე, აქ გამოსჭვივის მისი ადამიანური კრედო... ჭოდას სულის ძლიერებას—დაობლება, საშერობიდე, წამება, უკურნებელი სენი—ჭლექი—ვერას აკლებდა და უფრო მძლავრად კაიძახოდა „წინ, წინ!..“ ამ სიტვვებს ხმარობდა ხალხის კეთილდღეობიერების დროს, სტდილობდა სხვისი დასაცინი არ გამხდარიყო, სძულდა ტრუ და არა წრფელი ადამიანი, უველასაგან პატიოსნებას მოითხოვდა და ვაი მას, რომელი ბოროტიც შეხვდებოდა—„ბიძაშვილობას“ არაფრად ჩააგდებდა, „მთვარის ქვეშ ადამიანის სახით მოსიარულე საძაგლებს“ წუეგდა-კრულვას შეუთვლიდა და მართალიც იყო, როდესაც ამბობდა: „ჩემში ერთ და იმავე დროს ჯალათიც სცხოვრებს და მოსიყვარულე ბავშვიცაო“...

დიად, მტკიცე იყო მასში მტნება კანკეტ-

ხვისა და გულშემატკივრობისა და, ამით, ეროვნულ შესმენილს იზიდავდა. უყვარდა ყველა ერთად და ყველა ცალ-ცალკე, მაგრამ მტკიცედ ადგა იმ აზრს, რომ ყველა თავის ეროვნების შვილთან უნდა შეუღლდეს. და ეს შეხვედრება მასში მეტს ასპარეზს იძენდა ეროვნ მას შემდეგ, რაც მისი ცოლი—უცხო ერის შვილი,—რომელიც სიკვდილამდე უყვარდა, რადგან მიზეზებით განშორდა...

ჭოლა ყველასაგან განმარტოებული დარჩა... „რწმენის სიმბოლოთა“ გატაცებული ქარიშხალი ჭოლასაც მოედო. სულსა დაივავდა ტანჯული გმირი, მაგრამ თავის ღვაწლს მაინც არავის აყვედრიდა—ეს იყო მისი ხასიათის მძლეთა-მძლეობა, აქ იყო მისი სამართლიანი ამაყობა, ამაყი სამართლიანობა და იმედით გატისკროვნებული სული მისი მაინც სჯეროდა: „ვკვდები, მაგრამ ჩემში განმტკიცებული რწმენა და ტრფობა კაცისა, საქმისა და სიყვარულისადმი მარად იცოცხლებს“...

და ნახეხი მისი მართლაც ფრთასა შდის...

მიხ. კიაზოშვილი

უპატრონო

— მანიკო, მანიკო, შენ გენაცვალე გამიღე კარი, გავიყინე... საშინლად ჰყინავს... კარი გამიღე, კარი...

— ვინა ხარ, ამ შუა ღამეს, ვინ? ავი სული თუ ხარ, აქ რა გინდა?—მოისმა ბნელი ოთახიდან ქალის ხმა.

— მე ვარ, შენი დათიკო, გესმის—დათიკო!

— დათიკო?!.. დათიკოს აქ რა უნდა, ის ხომ შორს, ბრძოლის ველზეა და სისხლს ღვრის.

— რა დაგემართა, ქალო, ველარ მიცან? მოისმა კვალად ნაცნობისებური ხმა.

— იქნება მართლა ღმერთმა მომხედა და ველირსე ქმრის დაბრუნებას?! —სთქვა ქალმა და კარი გაუღო.

შემოვიდა ვიღაც უცხო კაცი.

— შენ... შენ ხომ დათიკო არა ხარ?— შეჰკივლა ქალმა.

— სუ, ნუ კივი, ქალო? შენი დათიკო მოჰკლეს, მის მაგიერ მე ვარ და... აწ ჩემი იქნები, ჩემო გვრიტო, ჩემო ლამაზო...

— არასოდეს... შესძახა ქალმა, მაგრამ უცნობმა მძლავრად მოჰხვია მკლავები, გულს ჩაიკრა, საწოლზე დასცა და...

ქალი კარგა ხანს წინააღმდეგობდა, რამდენიმე სილაც გააწნა, მაგრამ გამხეცებულმა კაცმა სძლია, სურვილი დაიკმაყოფილა...

გონება მიხდილ ქალს ჯოჯოხეთად ეგზნებოდა ბრძოლის ველი, მამულისა და მეფის სამსახური, შერცხვენილი თავი, ქმართან პირშაობა და სხ...

— ვაჰმე, უბედურს, —წამოიძახა ნამუსახდილმა ქალმა, გარეტიანებულივით წამოხტა და ოდნავ გასაგონად წაიფუჩუნა: „მშვიდობით, დათიკო... თუ ოდესმე მოხვიდე, მომნახე იქ, იმ ტბის ძირას, რომლის ნაპირზედაც არაერთხელ ერთად დრო გვიტარებია“ ..

მეორე დილა ადრიანად სამი პატარა ბავშვის წიოკობამ შესძრა სოფელი. აცნობეს მამასახლისს. უპატრონო ბალღები მეზობლებმა შეიფარეს, მათი დედის ასავალ-დასავალი კი ვერ გაიგეს: „რა თავ-დაჭერილი ქალი იყო და შეხე—ეგ უნამუსო თუ ვისმეს გაჰყვაო!..“ იძახდენ ზოგიერთნი.

ა. ორპირელი

***

კვნესის სიცოცხლე, კვნესის სამყარო,
ჩაგრულთ ცას ჰბურავს ნისლი შავ-ბნელი;
სისხლად ინთხევა სიცოცხლის წყარო,
თავს დაგვტრიალებს სიკვდილის ცელი!..

—

სძინავს მინგრეულ მაშვრალთ სოფელსა,
დემონი ხარობს ქვეყანაზედა,
მხოლოდ არ სძინავს ცრემლების მღვრელსა
დაჭრილ-დაკოდილთ ბრძოლის ველზედა!..

—

ოჰ, რომ შემეძლოს შევსცვალო კვნესა
შვებად, სიამედ და სიხარულად,
მაშინ უფერულ ჩემ სიცოცხლესა
მყის გავსწირავდი ძმისთვის გმირულად!..

ხ. ვარდოშვილი

ქართველი ორდინატორი-ქალი

თამარ თავ. სიმონის ასული აბაშიძე

ქართველი ქალი თანდისთან იოკართოებს მოქმედება-მოდვაწეობის ასპარეზს.

ქართველ სწავლულთა გუნდს კიდევ ერთი მიემატა და ისიც—ქალი!

ჩვენის კორესპონდენტისაგან ფრიად სასიამოვნო ცნობა მივიღეთ: ხარკოვის უნივერსიტეტის ოერაპევტიულ კლინიკაში საშტატო ორდინატორად მიიწვიეს ჩვენი თანამემამულე—თავად სიმონ აბაშიძის ასული თამარი.

თამარი ზემო ჭალელია (გორის მაზ.), ჯერ სულ **25—26** წ. პირველდაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო თბილისის ქალთა ინსტიტუტში; თბილისშივე, ნევეთონოვის სკოლაში, შეისწავლა კბილის ექიმობა, კურსის გათავებისათანავე ხარკოვს გაემგზავრა და სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა, სადაც, ხუთის წლის სწავლის შემდეგ, ხუთსიდან ერთმა პირველ ხარისხით დასამთავრა უმაღლესი განათლება. სწავლის გათავებისათანავე იქვე დასტოვეს ასისტენტად ფარმაკოლოგიურ კათედრაზე, ერთი წლის შემდეგ კი, ე. ი. ახლანდელ ჩარიცხეს სახელმწიფო სამსახურში (რის მაგალითიც დღემდე არა ეოფილა) და, როგორც ვსთქვით, დანიშნეს ხარკოვის უნივერსიტეტის კლინიკაში ოერაპევტიულ ნაწილის საშტატო ორდინატორად. ეს ფრიად საუურადღებო მოგლენაა: ვაჟთა უნივერსიტეტის კლინიკაში ქალის მასწავლებლად დანიშვნა პირველი შემთხვევაა. როგორც შევიტყეთ, უფრო იმიტომ მიუწვევიათ ქ-ნი თამარი საპროფესორო კათედრაზე, რომ ასეთი გზით იქვე, რუსეთშიგე დაეტოვებინათ: პროფესორებს ოურმე დიდი იმედი აქვთ მისი ბრწყინვალე მომავლისა.

ჩვენმა პატარა, მრავალ ვაებასა და ცეცხლში გამოვლილმა, სამშობლომ არა ერთი და ორი შესანიშნავი პირი შესძინა დიდს რუსეთს სამხედრო თუ სამეცნიერო ასპარეზზე,—დღეს ამათ ემატება ნიჭიერი და მუყაითი ქართველი სწავლული ქალიც—თამარა აბაშიძე, როგორც ადვნიშნეთ, პროფესორთა მოწმობით, დიდი მომავლის მოიმედე...

თამარი მეცადინეობის დროს (გადაღებულია სწრაფი ფოტოგრაფიით)

ეს ამბავი სიამით გვივსებს გულსა, მაგრამ აქვე ადვნიშნავთ, რომ, თუ დიდს რუსეთისათვის არაერთ საკვირველი ნიჭიერნი სწავლულნი, ბით უმეტეს საკვირველ ჩვენი პატარა სამშობლოსათვის...

დაე ბრწყინვალე-დმც დაგვირგვინებულიეოს ქ-ნ თამარ აბაშიძის სამსწავლულო მოდვაწეობა მეცნიერებისა და სამშობლოს სადიდებლად.

ექიმი შტოკმანი

ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲕᲜᲔᲚᲐ

დილა გათენდა ტიალი,
  რა დილა,—კვნესა ისმოდა;
    გზაზე ვიხედე. ძმა ბიჭის
      მოთქმა გულს ლახვრად ისმოდა:
— ბიჭო, რას სდგახარ, ტიალო,
  ილვარე ცხარე ცრემლითა:
    მთებმ დაიხურეს ნისლები,
      გული გაგვიტყდება გრდემლითა!..
ძოლანის გარეთ გამოვედ,
  გადმომძახეს—ჩე რძლეულთა:
    — ბიჭო, ვაჟი მომკვდარა,
      ვ`ჟკაცი, თვალი რჩეულთა!
ვაჰმე, რა გვიყავ, ვაჟაო,
  რისთვის დაგვყორე ობლათა;
    გულს რო ლახვარი დაგვარტყი,
      ვინ გვექმნეს ჯავრის მთხრობლათა?!.

მ. კაიშაური

ყვავილები

უმწეო ოჯახი

საწყალი ქვრივის ქოხმახი ჩაფიქრებულა მწარედა,
ჩაფიქრებულა და ბალღებს უმზერის მგლოვიარედა.

ჰშიანთ დაძონძილ პაწიებს, ჰშიანთ დედიკოს გვრიტებსა;
სტირიან, მოაწვიმებენ ცრემლების მარგალიტებსა.

გამწარებული მშობელი დაძრწის სხვის ეზო-კარზედა,
დაძრწის და ლუკმის თხოვნაზე ცრემლი ერევა თვალზედა.

ცრემლი... სულ ცრემლი... მეუფევ! რად არ მოჰხედავ ობლებსა,
რად არ მოუსმენ ვაებას ქვრივ-ოხრად შთენილ მშობლებსა? .

გაყრუებულა მიდამო, გარინდებულა ქვეყანა
და ხალხის კვნესა-ვაება წყევად გაისმის ყველგანა!

გ. ქუჩიშვილი

აუხსნელი გამოცანა

—ამბა, მითხარ, რად გიყვარვარ, ან რა არის სიყვარული,
ან მე ხოლმე უშენობით რად მიკრთება ხშირად რული?—
შორს მყოფს ფიქრი არ მასვენებს, შენს ახლო კი მიპყრობს სევდა,
გულში რაღაც შეეპარა,—გულით რაღაც გამიძევდა!—
შენ კიდევ ხომ უცნაურად ჩამოსდნი და შეიცვალე..
და ეგ არის სიყვარული?— მითხარ, მითხარ, გენაცვალე!..

ასე მკითხე და საყვარლად გამიყარე თვალში თვალი,
გული ცეცხლით ამითრთოლე, გული ისარ განამსჭვალი...
მე უფიქროდ ვმდუმარებდი, თვალი შენთვის მომეწებნა
და ვიდექი—საპასუხოდ სიტყვა ვეღარ მომეძებნა!—
ან რა მეთქვა როს სიყვარულს მე ნამდვილად განვიცდიდი,
როს გული შენ მოგთავაზე და შენგანაც გულს ვუცდიდი?!.

და შეირხა ამ დროს ვარდი—მთვრალი შენის ტრფიალითა—
და ორივეს წაგვჩურჩულა იდუმალის შრიალითა:
—სიყვარული თვით ღმერთებმა შეჰქმნეს ჩემის ეშხისგანა,
და სახელად უწოდეს მას აუხსნელი გამოცანა...—
მეც მიკითხავს—„რაა ტრფობა?“ პასუხი მეც მიძებნია,
მოლოდინში ჩამოვმჭკნარვარ და ფოთლები დამცვივნია!—
თქვენც მე მგევხართ, თქვენც გაღელვებთ ფრთა გიზგიზა ტრფობის ალი,
ფრთხილად, ფრთხილად—არ გესტუმროთ სუსხიანი ქარიშხალი!..

—

სატრფოვ, ახლა ჩვენ შორსა ვართ და სიჩუმე გვმოციქულობს,
ჩემი გრძნობა შენს ფიქრებში ალბად აღარ გაზაფხულობს!—
ეს გული კი მოგონებამ ცრემლით ბევრჯელ ჩამოჰბანა;
ვაჰ თუ შენში უკვე აჰხდა აუხსნელი გამოცანა?!...

ს. ფაშალიშვილი

ორი ხმა

(ნიშნად ღრმა მადლობისა ვუძღვნი პრომეთეოსის მგოსანს დუტუ მეგრელს)

ღამეა. შავი უძრავი სუდარით დაუფარავს ქვეყანა ჯოჯოხეთურ სიბნელეს. ცა მრისხანედ შეკმუხვნილა და დაბურულა ღრუბლებით. ბნელ ცივ კიდეზე სწრაფ იკლაკნებიან და ირევიან ელვის გველები. ხანდისხან ძლივს მოისმის შორიდან რაღაც უცნაური გრიალი, რომელიც სიმწარის კვნესად ედება ქვეყნის სივრცეზე. ღრმად ჩასძინებიათ კავკასიონის მწვერვალებს ღრუბლების საბნის ქვეშ, მხოლოდ იალბუზი და მყინვარი, შეუპოვარნი და ამაყნი, ლამობენ მიაბჯინონ თეთრი თავები ცის სივრცეს, რომ მუდამ ეთამაშონ მთვარეს და ვარსკვლავებს. რაღაც არა ჩვეულებრივ დუმილს მისცემია ქვეყანა; დრო-გამოშვებით ისმის დარიალის უფსკრულიდან გაფთრეული თერგის შხუილი, რომელიც ედება მთა-კლდეებს, თანდათან სუსტდება და ბოლოს სადღაც შორს იკარგება სიბნელის ზღვაში. არ ისმის არავითარი სულდგმულის ხმა. ამაოდ დაეძებს თვალი მთების კალთებზე მბჟუტავ სინათლეს. თავ-ზარ-დაცემული მიმალულა ყოველი, თითქოს ქვეყანა წამისწამ მოელის უბედურებას... უფრო ხშირად სერავენ ცის კიდეებს ელვის გველები და იკარგებიან ღრუბლების მორევში.

მგოსანი ვ. რუხაძე
ავადმყოფობის გამო.

..... უცებ საიდღანაც მოისმა ხმა:

საუკუნე საუკუნეს მისდევს,—მირბის უთვალავი,
მაგრამ ქვეყნად არ სჩანს შუქი ცეცხლის ზეცით მონატაცის;
არ სჩანს შუქი სინათლისა—სიბნელეა დაუძრავი,—
ცეცხლი კაცმა მოიხმარა დასარბევად ისევ კაცის!
და ამისთვის განა ღირდა განრისხება შენგან ღვთისა?
ღირდა გეცნო ეს წვალება, რომ არ ცოცხლობ, არც ხარ მკვდარი?
მოინანე—შეგიწყნარებს, მიგიტევებს შეცოდვილსა,
მხოლოდ ზეცას დაუბრუნე ცეცხლი, შენგან მონაპარი...

შესწყდა ხმა. კვლავ ჩამოვარდა დუმილი. რაოდენიმე წუთის შემდეგ ქვემოდან, ბნელ უფსკრულიდან, მოისმა ჯაჭვის ჩხარუნი... ვიღაცამ იქ ღრმად ამოიოხრა, დაიკვნესა, და ამასთან ერთად ღრუბლებიან მწვერვალიდან საზარი წივილით გადმოეშვა ძერა, ისარივით გააპო სიბნელე და ჩავარდა იმ უფსკრულში. კიდევ რამდენჯერმე მოისმა კვნესა, ჯაჭვის ჩხარუნი და ბოლოს სუსტი ხმა:

უსაზღვროა ჩემი ტანჯვა... ჩემი სისხლით გაძღნენ კლდენი...
ტანსა ხავსი მომეკიდა... მხრები მწყდება მძიმე ჯაჭვით,
და ეს ძერა, რისხვა ღვთისა, ზეცით ჩემზე მონაყენი,
მკერდს მისერავს, გულს ნიწიწკნის, ძღება, ტკბება ჩემი სისხლით.
მაგრამ არა, არა ვნანობ და არც ვითხოვ შებრალებას!
ნუ გგონია, ჩამქრალიყოს ცეცხლი, ჩემგან მონატანი.
თუ დღეს ცეცხლი ჯოჯოხეთის მოსდებია მთელ ქვეყანას—
ცის ცეცხლიცა აინთება, და ვნუგეშობ სევდიანი.
ველოდები იმ ნეტარ დღეს—გათენდება მშვენიერი,
და გაჰქრება ეს სიბნელე, მოვლენილი ქვეყნის სუდრად..
მაშინ ერი ბედნიერი მეც დამიხსნის მადლიერი...
ავალ ცაში და მოვიტან ვარსკვლავს ქვეყნის შესამკობად...

ახალგაზდა მგოსანი გ ე ლ ა,
ასტრახანს გადასახლებული,
ამ ჟამად ავადაა.

..... შესწყდა ეს ხმაც.

ცის შუაგულს მოეცალა ღრუბლები, და უძირო სილრმიდან სიყვარულის ღიმილით გადმოხედა ქვეყანას კიკლუცმა ვარსკვლავმა...

გაბრიელ გოგუაძე

ბედი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 50)

IV

ოგინიგუ, ჩინოვნიკის გარდა.

ზაზა. ეს ჩინოვნიკი ხეირს არ დაგვაყრის, ლაპარაკში შევატყე!

გივი. ბატონო ზაზა! რა უცნაური კაცი ხარ, ღმერთმანი, აგრე რად ელაპარაკებოდი?

ზაზა. მაშ შენის აზრით როგორ უნდა მელაპარაკნა?

გივი. ჩვენზედ ხომ ახლა ეკვს რასმე აიღებს.

ზაზა. რა ეკვი უნდა აიღოს, რას ამბობ?

ნინიკა. ვერ მიხვდი, რა კილოთი გელაპარაკებოდა და როგორ გვათვალიერებდა?

ზაზა. იჰ, კარგია ერთი! არც გვათვალიერებდა და არც არაფერი!

ნინიკა. შენ რომა სთქვი, ჯერ ვინ იცისო, კარგად გათავდა თუ არაო. აგრე როგორ შეიძლება, აგრე არ უნდა გეთქვა!

ზაზა. ეგ შენი დარიგება შენთვის შეინახე, შვილო, ბოლოს გამოგადგება, თორემ ინანებ! შენ ჯერ ჩემი ჭაღარის დრომდის მიაღწიე და მაშინ სულ სხვას იტყვი!.. რა გესმის?.. ჩემ სიცოცხლეში ბევრი მინახავს და ბევრიც გამიგონია, კეთილი კი არსად არ მინახავს..; ეჰ, შვილო, ჩემ თავზე მხოლოდ წისქვილი არ დატრიალებულა, სხვა კი ყოველივე გამომიცდია!..

ერეკლე. (ნინიკას) შენ ჭკუას ძალას ნუ ატან, შვილო, თორემ დაიღლები!.. შენ გესმის საქმე? ჩვენ დავრჩით უმეფოდ და უცხო მეფე ჯერ ვინ იცის როგორ შემოგვხედავს და როგორ მოგვეკიდება, ეგ მარტო ღმერთმა უწყის?

ნინიკა. ჰმ!.. შენი არა მესმის რა!

ერეკლე. ჩემი თუ არა გესმის რა, მაშ რას მემუსაიფები... ჩუმად იყავ და იყავ შენთვის!

ზაზა. (ნინიკას) შენ, ყმაწვილო, მსჯელობაში ფიცხი ნუ ხარ, წაბორძიკდები როგორმე და ცხვირს გაიტეხავ! ყური მიგდე, რას გეტყვი!.. ახლავე წადი სასახლეში და ოთარ ამილახორი ჰნაზე და ჩემ მაგიერადა ჰკითხე: ქალია თუ ბიჭი-თქო? თუ სთქვა— ბიჭიაო, მაშ საქმე გარიგდა და თუ სთქვა ქალიაო—მაშ საქმე არ გარიგდა! გესმის? და წამსვე წამოდი და მომიტანე ოთარის პასუხი... ახლა წადი! მაგრამ, მოიცა! იქ თუ დაგიწყეს ჩვენზე რამე ლაპარაკი, უთხარი, რომ აქა ვართ, სიონში, რადგანაც დღეს ჩვენ ახალს ცხოვრებას ვიწყობთ, წარსულ დროის ჩვენს ცხედრებზე პანაშვიდის გადახდას ვაპირებთ. ასე უთხარი. დღეს ჩვენ ჭირისუფლები ვართ! გესმის? ჰა, ფრთხილად იყავ, იქ მეტი არა წამოგცდეს რა, ცოტათი მეტიჩარა ხარ, როგორც გატყობ, ყმაწვილო!.. ახლა წადი, ნუ ღარ აგვიანებ!

ნინიკა. ბატონი ბძანდები, ჭკუას გზაში არ დავფანტავ! (მიდის)

ზაზა. დაჰფანტავ და კაი თავთუხებიც ამოვა, შენმა მზემ! (იოსებს) შენ, ყმაწვილო, აქ მოდი! ახლა შენ უნდა წახვიდე!.. წადი სასახლეში, ბაგრატა ციციშვილი ნახე და უთხარი, მარიამ დედოფალთან მივიდეს და მოახსენოს, რომ თუ შეიძლება, დღესვე ჩვენ, ვინც ახლა აქა ვართ, ცალკე გვინახულოს. ბაგრატის პასუხი საჩქაროდ მომიტანე! (მიდის)

ერეკლე. ზაზა! ეგ კარგი შიკრიკი ამოგირჩევია?

ზაზა. ჰო, მე და ჩემმა სულმა, რომ ცქვიტნი არიან!

ერეკლე. აბა, ბატონებო, დროს ტყუილად ნუ ვკარგავთ, საქმეზედ მოვილაპარაკოთ.

ზაზა. ბაბა-ხანის განზრახვა ხომ შეტყობილი გაქვსთ! რუსთა ჯარი დაგვიხსნის კი იმის აკლებისაგან? მეტად განრისხებულია კოვალენსკიზე, რომ იმისი ელჩი ისე მოულოდნელად და უპასუხოდ გააგდო.

ერეკლე. ხმა დადის, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ძალას ატანს ერევნელ ომარ-ხანს საქართველოში გამოლაშქრებაზედ.

გედევან. ერევნიდან ერთი აქაური მოქალაქე ვაჭარი მოვიდა და სთქვა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი აპირებდა ომარ-ხანით საქართველოში შემოსევას და რომ შეიტყო

რუსთა ჯარის მეორე პოლკიც ჩამოვიდა თბილისს, ბაბა-ხანს ატანს ძალას, რომ ერთად დაგვეცნენ თავს.

პირველი მოქალაქე. დიახ, ბატონო, მართალსა ბძანებ, ის მოქალაქე ჩემი ბიძაშვილია და იმან მოიტანა ეს ამბავი. ბაბა-ხანს და ომარ-ხანსა სულ სამოცი ათასი კაცი ჰყავთ ლაშქარშიო.

ზაზა. სამოცი ათასი? კარგი ყოფილა, ჩემმა მზემ! ბაბა-ხანი არ დასტოვებს ისე ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანის შერცხვენას და მგონია, რომ დიდს უბედურებას დაგვმართებს!

ერეკლე. ეგ სულ ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანის მეცადინეობაა.

გედევან. აბა, რა თქმა უნდა, იმისი საქმე იქნება, მაშ ვისი?

არჩილ. ღმერთო ჩემო! როდის მოისვენებს საცოდავი საქართველო, როდის მოისპობა სისხლის ღვრა?!

V

იგინიგე და **ბაგრატ ციციშვილი**.

ბაგრატ. ახალი ამბავი გინდათ, თუ არა, ბატონებო?

ერეკლე. აბა ერთი გვითხარი, რა ამბავია?

ბაგრატ. პეტრეპურღიდან ამბავი მოსულა, რომ ხელმწიფის უმაღლესის ბრძანებით ვეზირი კოვალენსკი გადაიყვანეს აქედან,

ერეკლე. ეგ დიდი ხანია მოსალოდნელი იყო.

ზაზა. რათა, ბატონო ერეკლე?

ერეკლე. რათა და, კოვალენსკი და ლაზარევი ვერ შეთანხმდნენ ურთიერთ შორის. კოვალენსკიმ გულიაკოვის პოლკი სამად გააყოფინა და გაგზავნა ლეკებზე, ოსებზე და ზოგიც საგურამოს და...

ზაზა, ეგ ამბავი, ბაგრატ, ვინ გითხრა?

ბაგრატ. აი, ეს არის სასახლეში ნადიმზედ იყო ლაპარაკი, პეტრეპურღიდან კურიერი მოვიდაო.

ზაზა. ეგ კურიერი რაღაა?

ბაგრატ. არ ვიცი, შენ არ მომიკვდე, ჩვენებურად შიკრიკი უნდა ვუწოდოთ.

ზაზა. მერე და ამ ორს მთავრობის წარმომადგენლებს რა მოუვიდათ ისეთი, რომ...

ბაგრატ. რა მოუვიდათ და ისა, რომ კოვალენსკიმ მოინდომა რუსთა ჯარების უფროსობა და ღენერალი ლაზარევის დაქვეითება; მოიწადინა მარტოდ-მარტო საქართველოს გამგებლობა და მართვა, სხვის დაუხმარებლად, გიორგი მეფის სიცოცხლეშივე და რაც ბატონიშვილს დავითს შეეხება, ამას ხომ ჩვენ ყველანი ცხადათა ვხედავთ, როგორც დაიმორჩილა. ლაზარევმა უჩივლა, რომ კოვალენსკი იმის სამხედრო საქმეში ერევა და რომ მეტის-მეტად ხელს უშლის ჩვენს მთავრობის ახალ წევრთ: ზაალ ბარათაშვილს, ეგნატე და სულხანა თუმანიშვილებს, იოანნე ჩოლაყაშვილს დი დარჩო ბებუთაშვილს, რომ ესენი გადაეყენებინათ და თვითონ მარტოკა დარჩენილიყო. ამ ჩვენმა თავადებმაც იჩივლეს და პეტრეპურღში იმათ საჩივარს ყურადღებას სრულებით არც კი მიაქცევდნენ თუ რომ დავით ბატონიშვილს და ღენერალ გულიაკოვსაც, თავის მხრით, არ ეჩივლათ. ამ რიგად შეიწყნარეს ეს საჩივრები და თავი და თავი მიზეზები იმის გადაყენებისა ის არის, რომ ჯარებისათვის დამზადებულ საკლავ საქონელს ბაზარში ჰყიდდა თავის სასარგებლოდ და ხორცის მაგიერად ჯარს დამპალს დოშს აჭმევდა. ამაზედ იჩივლეს ჯართა სხვა და სხვა უფროსებმა.

ერეკლე. ჰე! ახია იმაზედ! აგრე ურჩევნია!

ბაგრატ. ახლა, მოისმინეთ ჩვენთვის სხვა, უფრო სამწუხარო ამბები. ლეკები კახეთისაკენ მიდიან ასაკლებად. აწყვერშიაც გაჩნდნენ ლეკები. ქართლში და საგურამოში ოსების ბრბოები დათარეშობენ. იმათ დასამარცხებლად ხვალ კაპიტანი კრიტსკი მიდის, პოდპოლკოვნიკი სოლენიუსი და ისაკოვი. ამ რიგად რუსთა ჯარი რამდენსამე ნაწილად იყოფა. ბატონებო! ჩვენ გულხელ დაკრეფილი კი ნუ ვიქნებით, ჩვენც უნდა დავეხმაროთ რუსეთის ჯარს. წავიდეთ ღენერალ ლაზარევთან, ის გვაცნობებს ყველაფერს დაწვრილებით და დარიგებასაც მოგვცემს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ საქართველოს დაცვაში მტრის შემოსევისაგან.

ზაზა. რა დროს ეგენია, რასა ბძანებ!

ჩვენ აქ სულ სხვა საქმე გვაქვს. დღეს ხმა გავარდა, რომ ჩვენს ბატონიშვილებს ყველას დაბრუნების ნება მიეცათ და ეს ამბავი კარგს არას მოისწავებს. ისინი თუ დაბრუნდნენ, აირევა აქაურობა უთანხმოებით.

ერეკლე. მართლა თუ დაბრუნდნენ ისინი, დიდს შფოთს მოახდენენ.

ზაზა. ბატონებო, ჩვენ ერთად უნდა ვიმოქმედოთ!

ყველანი. ერთად, ერთად, უეჭველია, უეჭველია!

ზაზა. ბაგრატ ციციშვილო! ბატონიშვილს დავითს მოახსენე, რომ ჩვენ აქ სათათბირო რამ საქმე გვაქვს და ან აქ მობძანდეს, ან დაგვინიშნოს ადგილი რამ და ჩვენ ვეახლებით იმას.

ბაგრატ. რას ამბობ, აქ რაღას მოვა, ვეზირმა ისე ჩაიგდო ხელში, რომ ახლა მარიამ დედოფალთან მიდიან.

ზაზა. მართლა?.. შენ ჩვენი კაცი არავინ მოგსვლია?

ბაგრატ. არავინ არ მინახავს.

ზაზა. იმ ჩვენ იოსებს უყურეთ ერთი, რომ დაბარებული სიტყვა ბაგრატთან არ შეასრულა?!

ბაგრატ. ჩემთან რა დააბარე?

ზაზა. დავაბარეთ, რომ მარიამ დედოფალთან მისულიყავი და მოგეხსენებინა, რომ დღეს საიდუმლოდ გვინახულოს.

ბაგრატ. ძალიან კარგი, მოვახსენებ.

ზაზა. შენ ამბობ, რომ დავითი მარიამ დედოფალთან მიბძანდებაო?.. ჰმ!.. ბაგრატ! შენ ისეთი კაცი ხარ, რომ არ ვიცი, შეიძლება გენდოთ თუ არა? შენ ხან ჩვენსკენა ხარ, ხან იმათკენა.

ბაგრატ. ჩემს ნდობაზე, ბატონო ზაზა, ეჭვს ნუ შემოიტან, ეგ ჩემთვის დიდი შეურაცხყოფა იქნება და მე რომ იმათკენა ვარ, ვარ იმიტომ რომ ვატყობ, ჩვენ უიმათოთ ვერ ვივარგებთ და თუ ვივარგეთ როგორმე, მე, თქვენი ყურ-მოჭრილი მონა და მოსამსახურე ვარ.

ზაზა. მაშ კარგი! მოდი ერთი ძმურად გადაგეხვიო! (ეჯოტებს) აბა, ბატონებო, ერთი კარგათ მომისმინეთ რასაც გეტყვით და როგორც საერთოდ გარდასწყვეტავთ,— მეც თქვენთანა ვარ.

კ. ყიფიანი

(გაგრძელება იქნება)

განცდა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 50)

8

მას შემდეგ, თითქმის წლის თავზე...

შუა ღამეა...

ილოსა და შუშანას უზომო ალერსში ჩაეძინათ...

მაგრამ შუშანა უცნაურმა სიზმარმა გამოაღვიძა.—„გველი!.. დიაღ, გველი... აი, ამ კარებიდან, თითქო გველი შემოსცურდა..." —იგონებდა იგი.—„ვგონებ, ყელზე"...—ხელი მოისო, ხილაბანდის ყური შემოხვეოდა, —„საწოლში... ვგონებ საწოლშ..." და სული განაბა, მთლად სმენად გარდაიქცა.

— ილოს... ილოს შემოეხვია?!.

უეცრად წამოიძახა, რა მისი ჩუმი ფშვინვა ხრიალად მოესმა, და ხელი მოუსო ილოს კისერსა, ვით მეგობარმა, დასახსნელად დღით ნამუშავარს, შემდეგ შუშანას ალერსით დამტკბარსა, ილოს ცკბილად ეძინა, რომელსაც შუშანამ—„გენაცვალე"... გულში გავლებით შესთავაზა და, ამ ჟამად, მკრთალ ტუჩებით მიუალერსა.

— ვაიმე, აკვანს... ჩემ ბიჭუნას შეუცურდა?!. წამოიძახა შუშანამ, ზეზე წამოხტა და, ვით აფთარი ლეკვისა მხსნელად, შვილის აკვანთან ისე მიიჭრა. აგერ, აკვანი კერასთან ჰაპიდის გვერდითა; ილოს მამიდა მას არ იშორებს ღამღამობითა, შიგ ჩაკრულია ბავშვი სამის თვისა, ნაყოფი ილოს და შუშანას სიყვარულისა.

პირს საფარი გადახდია, ვგონებ თვით მოუგლეჯია; მარჯვენა ხელი არტახიდან გამოუღია; ფუნჩულა თათი მოუკუმშია და საოლოკავად მიუტანია.

ბავშვს მშვიდათა სძინავ!—საღათ ფშვინავს. იგი ჯანსაღია, ვითა ნაყოფი სიყვარულისა; და კირკიტია, ვით ნამყენი სხვადასხვა ჯიშზე, შვილი სოფლისა.

— შენ გენაცვალოს მშობელი დედა!..

შუშანამ მიუალერსა და პირთან ძუძუ რა

მიუტანა, თვალყურმდევნელ დარაჯ მოხუცმა დარიგებით შენიშნა:

— არ უნდა, შვილო! ღამე ნუ დაჩვევ ძუძუსა,..

— რა ვიცი, მამიდა, მგონია შინ; უყურე თათი პირთან მიუტანია..

— ეგ შვილო, ვით ცოხნა, ქორფის ლოლნაა.

სწორედ ამ დროს მთვარის შუქი მოსწყდა დარბაზიდან; სანათურს ადამიანის ჩრდილი მოადგა, რამაც ლაპარაკი შეაწყვეტინა და ორივე მაღლა აახედა.

— ილო, ჰა, ილო!—მოისმა მაღლიდან ხმა, თუმცა ნაცნობი, ხოლო არა ჩვეულებრივი კილოიანი, უფრო ნაღვლიანი.—ადექ... გორიდან მოსულნი ჩხრეკენ შენს კარმიდამოსა... ილო წამოიჭრა, კარები გაღო... შემოვიდნენ, გათენებამდე ჩხრეკდნენ... ყოველივე მთლად გადააბრუნეს; შუშანას დედისგან მოწერილი წერილები შეჰკრეს. ილოც თან წაყვანეს.

— არ შეშინდე...—ანუგეშა შუშანას ილომ, რა მოიხედა კარებიდანა; გადახედა ბავშვსა, რომელიც აკვანში სტიროდა, თითქო ისიც მამის დაშორებასა გრძნობდა —მამიდა გაუფრთხილდი...

არც კი აცალეს ილოს კიდენ მოეხედნა, უბრძანეს წინ გასძღოლოდა

წავიდა ..

მას შემდეგ არა თუ იგი იხილა, არამედ ნამდვილიც ვერა გაიგო-რა.

9

შუშანას საყვარელი არსება მოაშორეს. მისთვის ილო შეიშურეს, გულიდან მოსწყდა რაც მას სიხარულს ჰგვრიდა.

ადამიანს მისი ბედნიერება შეშურდა, ხოლო ბუნებამ იგი არ დაივიწყა და იმედი დაუტოვა.

— აი, ბიჭიკო... ილოა, სწორედ მისი პირმშოა...

ამას შუშანას ხშირად იმეორებს, მით დამწვარ გულს იქარვებს.

მამა შუშანას ხშირად დედის პირით უთვლიდა:—„შვილო, რაც მოხდა, მოხდა .. ეხლა მოდი ჩვენსა; ეგ ბიჭიც ტერტერას მოვანათვლინოთ და, რა უყოთ, გავზარდოთ, შენც იყავი რაღა ჩვენსა“...—ხოლო შუშანა არ თანხმდებოდა და ილოს მამიდას არ შორდებოდა. მერე-და იგი განა ეგრე ადვილად განშორდებოდა იმ ადგილს, სადაც ილოას სიტკბოება უგემია, შეუვსია და მით ნაყოფი—ყოველი მომავალის იმედი წარმოუშვია?

— არა, გენაცვალე, სადაც დაიბადე, იქ ვ ადგზრდი ..

ამით საზრდოებდა...

10

ამ გატარებულ დღეთა შორის, კარგად ახსოვს, მამიდა ვენახში იყო საღამოს.

შუშანა ბავშვს დასცქერის, მას დაჰხარის, რო კარები შემოიღო. .

და მერე ვის ხედავს...

— შენ აქ?!...—წამოიძახა შუშანამ და, ვით არწივი, გადაეფარა თავის შვილსა.

— ჰო, შუშანა...—წაილუღლუღა არტემამ მოჩჩილად,—მე აქ...

— მერე, რა გსურს?!

— შენი.. შენი...

— შენ, რომ პატრონანი იყო აქ არ მოხვიდოდი...

— ღმერთმა იცის შენთან არა სამტროდ... მე შენ... რა ვქნა, შუშანა!—ღმერთია თავდები, მიყვარხარ .. აი, ეგ ხომ ჩემი არ არი.. მაგრამ მზათა ვარ ვიშვილო... ოღონდ, შენ, შენ...

— გასწი! გასწი იმავ გზით! აქ შამოსვლა აღარ გაბედო!

— წავალ... კარგი, წავალ... მაგრამ, შუშანა, იცოდე კარგს არას გიზამ...

არტემა გავიდა.

ხოლო შუშანა ბავშვს მიუბრუნდა, ვითა სალოცავს, მანუგეშებელს...

ს. გლახაშვილი

(დასასრული იქნება)

ფურცლები

II

ოსკარ უაილდი

„მარგალიტი ჩემი სულისა ჩავაგდე ღვინით სავსე თასში. და მივდიოდი გზაზე, რომელიც იყო მოჩთული ყვავილებით მე ვსულდგმულობდი თაფლითა და ყურს ჩამძახოდა სალამური“

ის, რომელიც ჩემის სულის სიყვარულს შეადგენს,—ღმის მეტეორი იყო. ის იყო ხაზი

ელდვისა წუდლიადით მოტეულ ოკეანეზე. ჰო, და... მან გაიელვა და გაჭრა უცბად... სად წავიდა?— ო, ნუდარ მეკითხებით... არ ვიცი, არა... მას ვერ კვიმეტებ სამუდამო დავიწყებად, რადგან იგი მიეგარს და ჯერ არას ისე არ გაუტანიგარ, რო-გორც მის სხეიოსან ბარადოქსებს...

სახე მისი მიდგება თვალწინ მაშინ, როდე-საც განთიადის იერი გაიხაზება ვარდისფერ ცა-ზე, ხოლო მისი ძახილი მესმის, როცა დამის სიღრმეში შეიარხევა თეთრი მეტეორი. ამბობენ იგი უკვდავია, ხოლო მე ვამბობ: მას არ ჰსურ-და უკვდავება ადამიანისა, რომელიც ფიქრით მი-წას ვერ ასცილდებია. მას ჩსურდა ანგელოსის უკვდავება, რათა დამტანჯარიო მხოლოდ ოქრის ფრთიან სიდამაზით...

ის, სიდამაზის მოგვი იო...

მან მითხრა, ცხოვრების ეველა გზა სილა-მაზის რომში მიგვიეანსო. „...და იო სიდამა-ზე და იგი სიტეა იო მშვენიერება!“—სწერ-ია მის ლურჯ წიგნში. იგი ჩვენთან იო, მაგ-რამ სხვა ჭაერს სუნთქავდა, მას ჩქონდა საკუთა-რი სამყარო—სიდამაზისა და ოცნებისა.

ჰო და... თანამედროვეთა ცხოვრება მეტად უხეში იო, ხოლო მისი კი—ოქროს ლეგენდა, რომელიც თვითვე დასწერა თეთრი ტრემლე-ბით...—მის სულს ჩხუთავდა ქალაქის ხმაურობა, ქარხნების ბოლი და უმნიშვნელო ფუსფსი ადა-მიანისა. მას აბეზრებდა მუდამ უცვლელი ბუ-ნება—ჩხიბლავდა მშვენიერება! ის სიდამაზის მოციქული იო... და იო ბედნიერი, რადგან ეზიარა მშვენიერების ბარძიმში. ის მხოლოდ სიდამაზით სულდგმულობდა. მან არ იცოდა ტან-ჯვა მიწისა, რომელიც მხოლოდ მაშინ შეიგნო როცა მის არისტოკრატიულ ხელებს კანკალ-ი ტეხის ბორკილი... სანამ კი ის ბეჭედა იო, სიცოცხლის ბეჭედა, რომელისთვისაც უცხოა სეე-და მიწისა, და რომელიც უფრო დიდი სეედით ატანჯება.

მას თაბათვის ეგვიდს ვადარებ სინაზით, მაგრამ მასვე ეძახი ამირანს, რომელიც კავკა-სიონის მთებზე კი არ არის მიჯაჭვული, არამედ უფრო უსაშინელეს—ერთფერობან ცხოვრების მკერდზე.

და როგორც ქალწულს, ებარება სუნთქვა სიეყვარულისა, სწეურიან იგი და ამავე დროსაც ეშინიან მისი, რათა არ ადმოაჩნდეს ეგ ნაზი ტკივილი სულისა,—ისე იო ჩემი უიდდი სუ-კუნესთვის, რომელმაც წარმოშვა იგი. საკვირვე-ლია მისი არსებობა და უფრო საკვირველია მი-სი წიგნი. მე ახლაც ვსტკბები მისი კითხვით და ხშირად მესმის მისი სიტეეები, რომლითაც იგი უალერსებს მშვენიერებას: აბრეშუმი, ძვირ-ფასი აბაკური, დიდი ხომალი, რომელიც იგზნე-ბა ისე, როგორც საუკეთესო გეორგინა—ტეტხლოვანი ფოთლებით, ძვირფასი ქვები და ნოხები ტიგეროსისა და აბრესეთისა, ვარდისფე-რი მარაო და ბროლის ვაზა, საბურველი და ქარ-გები, მხატვრული ედები და სხ...

ეველა ეს ერთნაირ სიდამაზეს კამოჭხა-ტავს, რომელიც ნაწილია ეველავი მშვენიერები-სა. მას სწამს, რომ ემისოდ ქვეეანა ბნელია. ნუ იტეხავთ, მეტნიერნო, თავს ჭეშმარიტების საძიებლად...

ფასტო! სიდამაზე მიგიეანს ჭეშმარიტე-ბამდის... ჭოიდიბოს! რად ეკვირდები ასე დრმად ამ ბნელს, რად ეძებ მასში ცხოვრების აზრს, ჭეშმარიტებას?.. შენ თვალებს აგიხელს მშვენი-ერება!—მე მწამს ასე ეტეოდა უიდდი განძვი-ნებულს კმირს ადამიანის ტრადიციასა და და-ამშვიდებდა კიდეც, მშვენიერების მოძღვრებით.

და განა მხოლოდ მისთვის მიეგარს უიდ-დი? არა, მე იმდენად მიეგარს იგი, რამდენად მას ესმის და ეეგარს ხელოვნება. განა მან არა სთქვა, რომ ხელოვნებით „შემიძლიან შეა ზამ-თარში ავაეაგო ნეშის ხე და თოვლი გადავაეა-რო მკათათვის ეანებს, მე მისით ვიცი ისეთი ეგვიდები, რომელთაც არ ენახავთ ამ ქვეენის ბადები, მე ვიცი სირნი, რომელთაც არასოდეს არ ეცხოვრიათ ტეის სიღრმეში“. დიახ, ეოვლის მოქმედია ხელოვნება. მან შექმა ცხოვრება, ბუნება და ეველაფერი... იგი არ გამოხატავს სუ-ლის ეოფას—საეკუნისას.

იგი არ არის რომელიმე საეკუნის სიმბო-ლო, საეკუნენი არიან მისი სიმბოლო, ისევე როგორც ებოქას ქმნის ადამიანი... ეს სწამდა ეიდდს და ამისთვის არ შეაერთა: ბუნება და კულტურა, სტიქია და გონება, ცხოვრება და ხელოვნება! ხელოვნების მხატვარი ქმნის ტიპს, ხოლო ბუნება სტდიოობს—განახორციელოს იგი. ცხოვრებას უჭირავს სარკე ხელოვნების წი-

ნაშუ და ახორციელებს სხვა და სხვა სახეებს, ხელოვნებისაგან შექმნილს.

ხელოვნება თავისუფალია, ვით ნიავი, ჩემ სამშობლოში,— ნუ მიანდობთ მას ქვეყნის სამსახურს... ხელოვნება ის უდამაზესი ქალწულია, რომელსაც ვერ წაბაძავს ვერც ერთი ბანოვანი. ამაოდ ბაძავს ბუნება მას და ამაოდ იძახით თქვენ: ხელოვნება სარკეა ცხოვრებისა. ცხოვრება არა ქმნის ხელოვნებას, ხელოვნებაა შემოქმედი ცხოვრებისა, ისე როგორც ბუნებისა.

დიად, თვით უიდდმა, საკუთარი ცხოვრება გარდაქმნა ხელოვნებად (დორიან გრეი) და გახდა მის ბირველ მსხვერპლად, რადგან არ დამდგარა ჯერ მისი განთიადი...

გოგლა ლეონიძე

სახალხო თეატრის ისტორია

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 20)

1897 წ. „ავჭალის აუდიტორიაში" სახალხო წარმოდგენების მართვას რაკი ინტელიგენტია ჩაუდგა სათავეში, მოინდომა აუდიტორიის გაფართოვება და სცენის ხელახლა შეკეთება. ამ მიზნის მისაღწევად სექციამ დახმარება სთხოვა ქართ. დრამატიულ საზოგადოებას. დრამატიულმა საზოგადოებამ, სექციის წევრის ბ-ნ გიორგი დასხიშვილის (რომელიც იმავ დროს ქართ. დრამ. საზ-ბის კამეგობის წევრიც იყო) შუამდგომლობით შემოსწირა 150 მ. ამ ფულით „ავჭალის აუდიტორიის" წინა დერეფანი მოუმატეს. ადადო თუთაევმაც შესწირა სამფეხა და ხის მასალა თავის მომუშავეებით. აუდიტორია შეალამაზეს და სცენაც შეაკეთეს. ამავე წელს აგვისტოში „ნინაძადეუში" გრ. ჩარკვიანის სახლის ეზოში მისიგე თაოსნობით და შაქრო საფარეოვის რეჟისორობით გაიმართა 3 წარმოდგენა ბირველდაწყებითი საბრალოდ სკოლის სასარგებლოდ. ბირველი წარმოდგენა იყო „ძუნწი", მეორე—„არსენა", მესამე—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". ამ ბიესებში მონაწილეობა მიიღეს: ქ-ნ ოდინცა ხაფთასიმ (შვედიძისა), ვარო ურუშანოვმა, სონა ციციშვილის ასულმა და ქ. ბადაშვილმა; ბ-ნ ად. ბაქრაძემ, გ. ჯაბაურმა, ი. ინასარიძემ, გ. მარსაგოვმა, ად. ეადაბეგაშვილმა (ახლანდელი მსახიობი), ი. დარახველიძემ და სხ. წარმოდგენას დიდძალი სახალხო დაესწრო და ფულიც დანიშნულისამებრ გარდაეცა. დაგა ზამთარი და წარმოდგენებიც შესწყდა, რადგანაც არ შეიძლებოდა ზამთარში დერეფანში წარმოდგენის მართვა.

ავჭალის აუდიტორიის სექციამაც დაასრულა დარბაზის და სცენის შეკეთება და დაიწყო წარმოდგენების მართვა. ეს იყო უკვე 1898 წელი 4 იანვარი. ამ სეზონში წარმოადგინეს: 1) „გაურა" გ. ერისთავისა, 2) 2 თებერ. „ცეიმბარელი" ა. ცაგარლისა, 3) 15 თებერვ. „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს" და „ადვოკატი მედაძე", 4) 10 აპრ. „თავმარ ბატონიშვილი", კ. მესხისა, 5) 3 მაისს—„ხახუმა" ა. ცაგარლისა. ამ ხუთ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქ-ნ მარ. დემურიამ, ეკ. წულუკიძემ, ს. ციციშვილმა, ან. ჩაჩიბაიამ, ნ. ნაკაშიძემ, კვარაძემ, ოდ. ხაფთასიმ და სვანიძემ; ბბ ნ. კოტორიძემ, დ. შვედიძემ, გ. ჯაბაურმა, გ. ანანიაშვილმა, ისაკ ძნელაძემ, იოსებ იმედაშვილმა, ერემია გულისაშვილმა, სვ. ჯუღელმა, დოდაშვილმა, კალაძემ, იოსებ ქუთათელაძემ, გ. დასხიშვილმა, ილ. ნაკაშიძემ და თუმანოვმა.

ამ წარმოდგენებში მორიგებით რეჟისორობდენ ერემია გულისაშვილი და ივანე ი. ადდაძე.

ნ. გოკირიძე

1896 წლიდან დღევანდლამდე სახალხო თეატრის მუდმივი სცენის მოყვარე, სულის ჩამდგმელი და ხალხის საყვარელი მსახიობი, თითქმის ყოველ წარმოდგენაში მონაწილეობს. ბევრჯელ მიიწვიეს დრამ. საზოგადოების დასში მსახიობად, მაგრამ უარი განუცხადა და ისევ სახალხო თეატრში ხალხის სამსახური არჩია. ხშირად იყო არჩეული სახალხო თეატრის რეჟისორად და უფრო ხშირადაც სხვა მოწვეულ რეჟისორის მოვალეობაც შეუსრულებია.

ზემოხსენებულ წარმოდგენებს დესწრო 1578 კ. შემოსავალი იყო სულ 78 მან. და 90 კაპ. დაიხარჯა ამ წარმოდგენაზე 83 მ. 80 კაპ. ისე რომ ზარალი იყო 4 მან. და 90 კაპ. რომელიც გადაიხადეს სცენის მოყვარეებმა თავიანთ ჯიბიდან. დაგა ზაფხული და სეზონიც შესწყდა.

გ. ჯაბაური

(გაგრძელება იქნება)

ქართული სახიობა

მუსულმანთა აუდიტორიაში 12/XII ბ. გ. მჭედლიშვილის რეჟისორობით დასდგეს „ლეკის ქალი გულჯავარი". დღევანდელ მომენტში ასეთ პიესების დადგმა რომ შეუფერებელია, ისიც მუსულმანთა აუდიტორიაშ, ეს ვინ არ იცის ბ. მჭედლიშვილის გარდა. მაგრამ ამას გვერდს აუქცევთ და მოგახსენებთ, თუ როგორ აწამეს ჯერ პიესა, მერე საზოგადოება. ბ-ნი გ. მჭედლიშვილი (ლევანი) მოგაგონებდათ სასაკლაოდან გამოქცეულ კამეჩს, თვით რეჟ სორობდა და ვერ მიმხვდარიყო კი, სცენაზე იყო თუ საჭიდაო მოედანზე. როლი სრულებით არ იცოდა (მგონი პიესის შინაარსიც), უადგილოდ ისროდა ფრაზებს, თვითვე „სთხზავდა" მონოლოგებს და უაზროდ ლუღლუღებდა. აი, ბ-ნ გ მჭედლიშვილის ქართული ლაპარაკის ნიმუშიც: „მამასჯან, ავალიისაკენ, ლეკვეთისაკენ, აქლემი მოხადე ცხენებს" და სხ. თავადი რევაზის ნაკალად, რომელიც დარბაისელი მოხუცი უნდა იყოს, სცენაზე ვნახეთ უგრიმო ბავშვი. მეზუროვმა (ბატონიშვილი), ტომით სომეხმა. რომელსაც ქართულის არა გაეგება რა, ვერ მოახერხა თავისი როლის მეათედი მაინც გადმოეცა, მხოლოდ რაც სთქვა, ისიც ასეთი ქართულით: „სამჯერ ავცი რამაზ ტყვეს, კაცი მკვლელის გიძრახების" და თავის სახელს ირაკლის ხშირად რამაზს ეძახდა. რჩეულოვისა (გულჯავარი), რომელიც 18 წ. უნდა იყოს, შავებში გახვეული ქვრივი, მოგვევლინა სამოცი წლისად, ისიც ჭრელ ფარჩებში. დანარჩენნიც ასევე „ამშვენებდენ" სცენას. ერთი სიტყვით აუწერელია ამ ვაჟბატონთა მიერ საზოგადოების აბუჩად აღება. ნუ თუ შეუძლებელია ამ თავაშვებულთა ალაგმვა?!

დასასრულ, თუ ბ-ნ მჭედლიშვილს სცენის სამსახური ვერ დაუთმია, თავისი დასით დედა-ენა მაინც შეისწავლოს და ისე გამოსდგას ფეხი ქართულ სცენაზე.

მელპომენის მომხრე

წვრილი ამგეგი

ვაჟა-ფშაველას სალამო ქართველ მოღვაწეთა აგარაკის სასარგებლოდ „ხარფუხის საზ. კლუბში" (მიხეილის პრ № 129) გაიმართება დღეს, შაბათს, 19 ქრისტეშ. მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის: გრ. რობაქიძე, დ. კასრაძე, ნ. ერისთავი, ა. ადამიძე, ს. გლახაშვილი, ა. ფანცფ ლაია, მგოსნები: ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ს ფაშალიშვილი, ბ. ახოსპირელი და სხ. საღამოს მხატვრული მხრის მოწყობა დავალებული აქვთ ს. გლახაშვილს, მხატვარს ვ ს.-ერისთავსა და ა. წუწუნავას. საღამოს ჰმართავს „ხარფუხის საზ. კლუბის მამასახლისთა საბჭო.

მსახიობ-მწერალი ვალ. შალიკაშვილი სამშაბათს, 15/XII, ბაქოდან თბილისს ჩამოვიდა (სადგურზე ამხანაგ მსახიობნი შეეგებენ) და „ნოეს" სასტუმროში ჩამოხტა, ხოლო ხუთშაბათს, 17X/II, ქუთაისს გაემგზავრა, საიდანაც სოხუმს გადაიყვანენ. თან ახლდა მსახ. მ. ჯანოევი (ნემო).

ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ ავადმყოფ მსახ.-მწერალს ვ. შალიკაშვილს ჯერჯერობით 100 მან გადასცა სახარჯოდ სუსტადაა.

ქართ. დრამ. დასმა ესიკოვსკის კინო-რეკორდში ოთხშაბათს, 16X/II, წარმოადგინა „ანტიგონე", ანტიური ტრაგედიის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა გრ. რობაქიძემ. წარმოდგენის დაწყებამდე სინემატოგრაფი იყო. ბევრ ხალხი დაესწრო.

ქართ. დრამ დასი სახალხო სახლში 21/XII წარმოადგენს „დღენი ჩვენი ცხოვრებისა"-ს.

ქუთაისში ახალი თეატრის აშენების შესახებ თათბირზე ქუთ. დრამ. საზ. გამგეობის თაოსნობით მიწვეულ იქმნენ ქუთაისის კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენელნი

„ახალი მოამბის" რედაქციის დავალებით ელენე ანტონოვსკისა სთარგმნის რომანებს: 1) „კოპწია დედოფალი", 2) „დედაკაცი ციხეში და სიკვდილის წინაშე" და 3) „ნაპოლეონი წმ ელენეს კუნძულზე".

ტრადიციულ ეროვნულ დღეობათა გამართვის შემოღებას აპირებს ქარ. კულ. მოყვ. საზოგადოება. დღეობაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენის სამშობლოს ყოველი კუთხის წარმომადგენელი თავისი სახელოვნო ნიჭის გამოჩენით.

ქართულ ზნე-ჩვეულებათა და საქართველოს კულტ. თვისებათა სისტემატიური შესწავლის შესახებ თ. ჟორდანია მოხსენებას ამზადებს

სად. შოკრაპანში 13/XII განზრახული წარმოდგენა, ქ-ნ ჯიქიას უარის გამო, გადაიდო.

ალაგირში (თერგის ოლ.) მომავალი წლის 6 იან. გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო („ბედმა მიღალატა", „აირია მონასტერი" და საკონცერტო განყ. ცოცხალი სურათები).

უგ. თავ. გ. მ. შარვაშიძის პიესას „გიორგი III" „ახალი დრამა" ავტორის ხელმძღვანელობით ამზადებს და 19—20/XII ქუთაისში წარმოედგენს.

ავად არიან მგოსნები ვ. რუხაძე ქუთაისში და გელა ასტრახანში (გადასახლებულია).

ფოტ. ი. სტურუამ გადასწყვიტა ჭოლა ლომთათიძის სურათების შემოსავლის 20% ჰ. ლ—ძისავე სახელობის თანხის სასარგებლოდ გადადოს.

ჰიათურის დრამ. წრემ უახლოვეს დროში წარმოდგენას მართავს ავადმყოფ მსახიობ-მწერალის ვ. შალიკაშვილის სასარგებლოდ (მისივე პიესას). იმედია საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ამ წარმოდგენას, მით უფრო, რომ ვ. შალიკაშვილმა, სხვებთან ერთად პირველად ჩაყარა დ. ჰიათურაში თეატრის საძირკველი.

წერილი რედაქციის მიმართ

ქართველ მოღვაწეთა ვაჟ-ფშაველას სახელობის აგარაკის სასაგებად ყოველ ერთ აგურის ფას 10 მ. (გადაეცა ქარ-კულ. საზ.) **ა. ს. ლორთქიფანიძე**

რედაქტორ-კომპოზიტორი ანნა იმედაშვილისა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის

„სახალხო ფურცელი“

გაზეთი სურათებიან დამატებით ღირს წელიწადში 9 მ 50 კ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 მ 50 კ., თვით 90 კ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. ხელის მოწერის დროს 3 მ. 50 კ. პირ. ივლის. 2 მ. და პირვ. ენკენ, 1 მ. 50 კ. კანტორა ხელ. მოწერ. ღიაა დილის 9 ს. ნაშუად. 3 ს. და საღ. 6—8 ს. წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1916 წლის 1 აპრილამდე სრულიად გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ **პრემიას** ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ. თხზულების შინაარსი იქნება დაახლოებით შემდეგი: 1. ომი და მისი მიზეზები; 2. ერი და სახელმწიფო; 3. მუშათა კლასი და სოციალისტური ორგანიზაციები ომის წინად და ომში; 4. ერი და დემოკრატია; 5. რეალური მოსახლეობა საქართველოში და საქ. ტერიტორია; 6. კავკასიის ერები და მათი ურთიერთობა; 7. ომის მიმოხილვა.

საპრემიო თხზულების ავტორები: კ. აბაშიძე, ი. გედევანიშვილი, გრ. გეგელსიანი, გ. დასხიშვილი, გ. მაიაშვილი, გ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა, გ. ქიქოძე, თ. დფონტი ა. ჯაჯანაშვილი. მისამართი: **ტფილისი „სახალხო ფურცლის“ ოედაქცია, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6. ტელეფონი 12—29.**

თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს როგორც თფილისში ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვით 90 კ.

გაზეთის ფასიხელის მომწ. წინდაწინ უნდა გადაიხ.

ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, поч. ящ. № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе.**

თფილისის ხელის მომ. ფული უნდა შემოიტანონ კანტორა „**განათლებაში**“ ოლგას ქუჩა № 6 მომავალ წლის მომწერლებს კანტორა უმორჩილენად სთხოვს ფული 20 **დეკემბრამდე** შემოიტანონ

ზვირთი

ზვირთი გაზეთის ფასი 2 მ. 50 კ., **თვეში 25 კ.** ფულ-ის გამოგზავნის შესახებ მიმართეთ მისამართი **Тифлисъ, Мухранская ул. № 12, Георгію Никифоровичу Мебуке.**

ახალი **აფთიაქი** **პროვიზ. ა. ხ. ახვლედიანისა.** სამხედრო ქ. და გოლოვინის პრ. კუთხე.

„განათლება“

ჟურნალ-გაზეთების კანტორა ქ. თბილისში ოლგას ქუჩა № 6.

გეგზავნება აგენტებს: „ოპერა და ტხოვრება“, „თან. აზრი“, „უშ. მათრახი“, „საქართველო“, „Тифлисскій Листокъ“, „Русское Слово“, „ჭორაზონი“, „ეკლესიის კალენდარები“ და სხ. ქართული წიგნები. ფული და წერილები უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96, С. Тавартки-адзе.

გამართულია ხელის მოწერა

პიკნა-ფაკვილის

პოემებისა და რჩეული ლექსების კრებულზე, რომელსაც დაერთვის სურათი, ბიოგრაფია და **დ. კასრაძის** გრიტიკული წერილი. ხელის მოწერა შეიძლება ჩვენს რედაქციაში და მიმ. ხერხეულიძესთან: პარკოვსკი ქ. სახ. № 27.

20-й г. изд. ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1916 годъ. 20-й г. изд.

НА

Театръ и Искусство.

52 номера еженед. иллюстр. журнала, 12 ежем. книгъ Библіотеки, до 40 репертуар. пьесъ. Отдѣлъ „Эстрада", заключающій номера для чтенія со сцены, дивертисментовъ и концертовъ. Въ распоряженіи редакціи имѣются слѣдующія пьесы: С. А. Найденовъ—„Работница", ком въ 4 д.; Л. Урванцовъ „Вѣра Мирцева", пьеса въ 4 д. С. Шиманскій—„Кровь", драма въ 4 д.; Ш. Ашъ—„Польскіе евреи", пьеса въ 4 д.; П. П. Гнѣдичъ—„Уходящіе боги", пьеса 4 д.; Д. Айзманъ" Лѣтній романъ" пьеса въ 4 д.; С. Ауслендеръ—„Хрупкая чаша", пьеса въ 5 д.; А. Вознесенскій—„Актриса Ларина", пьеса въ 5 д. и мн. др.

Въ виду вздорожанія бумаги подписная цѣна увеличена на 1 рубль.

Подписная цѣна на годъ 9 руб. Разсрочка при подп. 4 р., къ 1 апрѣля—3 р., къ 1 іюня—2 р. За границу 14 руб.

На полгода (съ 1-го января) 5 руб. За границу 8 руб.

На мѣсяцъ безъ приложеній — 65 коп.

Гл. контора: Петроградъ, Вознесенскій пр., д. 4. Телеф. 16—69.

Подпис. цѣна: годъ 7 р.—к, 1/2 г. 3 „ 50 „, 3 м. 1 „ 75 „, 1 м. — „ 60 „. За гран. вдвое. Допускается разсрочка.

VIII г. изд. на 1916 годъ VIII г. изд.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

Подъ редакціей **„РАМПА И ЖИЗНЬ"** Л. Г. Мунштейна (Lolo).

Театръ.—Музыка.—Литература.—Живопись.—Скульптура.

объявлен. впереди текста 1 строка петита, сзади текста 50 коп.

Безплатная премія для годовыхъ подписчиковъ: **галлерея сценическихъ дѣятелей** роскошно-иллюстрированное изданіе

1900—1916 гг. Томъ II-й.

52 большихъ портрета (на обложкѣ) артистовъ, писателей, композиторовъ и художниковъ, болѣе **2000** снимковъ, зарисовокъ, шаржей, каррикатуръ и проч. **Собственные корреспонденты во всѣхъ западно-европейскихъ театральныхъ центрахъ.** **52**

Годовые подписчики, желающіе получить 1-й томъ „Галлереи", доплачиваютъ **1 р. 75 к.**

Адресъ: Москва, Богословскій пер. (уг. Б. Дмитровки), д. 1. Тел. 2-58-25. ▣ **Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней и субботъ отъ 11—4 часовъ дня.** ▣ **ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ** также въ Москвѣ у **Н. И. Печковской и К°** (Петровскія Линіи), въ книжн. маг.: **„Новое Время"** (въ Петрогр., Москвѣ и пров. гор.), въ муз. маг. **В. Бессель и К°** (Москва, Петровка, 12), **М. О. Вольфъ** (Москва—Петроградъ,) кн. маг. **Л. Идзиковскій** (Кіевъ, Крещатикъ) и во всѣхъ книжн. магаз. гор. Москвы и провинціи. **МОЖНО ПОДПИСЫВАТЬСЯ ПО ТЕЛ. 2-58-25.**

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ.

თეატრი და ცხოვრება

Дозволено Военной Цензурой სტამბა „ხორაკანი"